



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030440665326214

№ 04-240/თ

06 / აგვისტო / 2014 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება გაცემასთან დაკავშირებით ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 31 მარტის N04-76/თ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების მიღება-გაცემასთან დაკავშირებით ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხის მოწესრიგების თაობაზე“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 31 მარტის N04-76/თ ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალის და რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრების უფროსებს მიენიჭოთ უფლებამოსილება, საჭიროების გათვალისწინებით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით – ბრძანებით, დამატებით გამოყოფნა მათ დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომელი (თანამშრომლები), რომელიც, ამ ბრძანების პირველ პუნქტში მითითებულ პირებთან ერთად ან დამოუკიდებლად, მოწინააღმდეგეობას მიიღებს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 28 მარტის N04-71/თ ბრძანებით დამტკიცებული ეურნალების

(„შეუვსებელი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების გაცემის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“ და „გამოსაყენებლად უვარგისი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გეგმური ამბულატორიული მომსახურების მისაღებად სამედიცინო დაწესებულებაში რეგისტრაციაზე მოსარგებლის თანხმობის ფორმების დაბრუნების სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი“) შევსების პროცესში.“

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების გაგზავნა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტისათვის, რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისათვის, აგრეთვე, საჯარო გაცნობის მიზნით, სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება;

ბ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს, ტერიტორიული ერთეულებისათვის მეთოდური ზედამხედველობის განხორციელება სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს 2014 წლის 31 მარტის N04-76/ო ბრძანების რეალიზებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი



გაიონ თალაკვაძე